საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2239
03/06/2022

2239-21-2-202206031015

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალს“
მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა №15
ელ.ფოსტა: crcc23.kkrp@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №9849 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარში შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში №2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად). ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნავთობპროდუქტების საცავის წლიური ბრუნვის შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია რეზერვუარების სასუნთქი სარქველების ტექნიკური პარამეტრების (სიმაღლე, დიამეტრი) და საწვავმარიგებელი სვეტების რაოდენობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წყლის გამოყენების შესახებ, აგრეთვე, ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების, განთავსებისა და შემდგომი მართვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო